



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 274

ქალაქი ქუთაისი 3 აგვისტო 2016 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე
25-ე სხდომის მოწვევის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა** :

მუხლი 1. მოწვეულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე 25-ე სხდომა მ/წლის 5 აგვისტოს, 14.00 საათზე /სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი, რუსთაველის გამზირი № 3/.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე 25-ე სხდომაზე წარდგენილ იქნეს **დ დ ის წ ე ს რ ი გ ის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 დეკემბრის N114 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი შ.მურღულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვ.ქავთარაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერის მოადგილე

2. წინასარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ

ბატონი შ.მურღულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ი.გიორგაძე
მერიის ადმინისტრაციული სამსახურის
იურიდიული განყოფილების უფროსი

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორებისა და მუნიციპალიტეტის ქონების ტოლფასი ქონების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ფიზიკური ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრებაში გადაცემის დამატებითი წესებისა და

პირობების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის N65 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ჯ.გოგრიჭიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერიის ეკონომიკური განვითარებისა და
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების
მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით /სასყიდლით, პირობებით/, არასამთავრობო ორგანიზაცია „World Vision international“-ისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ჯ.გოგრიჭიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერიის ეკონომიკური განვითარებისა და
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების
მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე

5. თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფერტუნა მედიას“ შორის 2010 წლის 25 მაისს დადებული N551 აღნაგობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ჯ.გოგრიჭიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერიის ეკონომიკური განვითარებისა და
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების
მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე

6. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში /სარგებლობაში/ არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 ნოემბრის N84 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ბატონი ი.ქორჭოლიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის უფროსი

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრამის ქუჩა № 11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.